



2023  
წელი

შპს გურამ  
თავართქილაძის  
სახელობის  
თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტი

უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის  
გადანაწილების, ანგარიშვალდებულების წესი

## **მუხლი 1 ზოგადი დებულებები**

პასუხისმგებლობის განაწილებისა და დელეგირების წესი (შემდგომში „წესი“) ადგენს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ხელმძღვანელ პირებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების, ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების დელეგირების ძირითად პრინციპებს.

## **მუხლი 2 უნივერსიტეტის რექტორი**

1. უნივერსიტეტის რექტორის უშუალო დაქვემდებარებაში არიან:

- ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;
- ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- კვლევების ხელშეწყობის ცენტრი.

2. რექტორის დაქვემდებარებაშია ასევე უნივერსიტეტში არსებული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები - ფაკულტეტები, რომელთა მართვას რექტორი ახორციელებს მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლო მიმართულებით ვიცე რექტორის საშუალებით.

3. ყველა ის სტრუქტურული ერთეული, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი) ან/და თანამდებობის პირი რომელიც წინამდებარე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება რექტორს, თავისი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე.

4. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, რექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით მის მოვალეობას ასრულებს რექტორის მიერ განსაზღვრული ერთ ერთი ვიცე-რექტორი, ხოლო თუ რექტორის მიერ ასეთი ბრძანების გამოცემა ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელია, მის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის კანცლერი.

## **მუხლი 3 კანცლერი**

1. უნივერსიტეტის კანცლერის უშუალო დაქვემდებარებაში არიან:

- ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- ფინანსური სამსახური;
- მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- კანცელარია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური.

2. ყველა ის სტრუქტურული ერთეული ან/და თანამდებობის რომელიც წინამდებარე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება უნივერსიტეტის კანცლერს, ანგარიშვალდებულია კანცლერის წინაშე;

3. კანცლერის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის რექტორი.

#### **მუხლი 4 ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით**

1. ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დაქვემდებარებაშია უნივერსიტეტში არსებული შემდეგი სტრუქტურული ერთეული:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

2. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ვიცე რექტორის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის მიმართულებით.

#### **მუხლი 5 ვიცე რექტორი სასწავლო მიმართულებით**

1. სასწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია:

- სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
- ბიბლიოთეკა;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური;
- პროფესიული განვითარების ცენტრი;
- საგამოცდო ცენტრი.

2. სასწავლო მიმართულებით ვიცე რექტორის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ვიცე რექტორი.

#### **მუხლი 6 ფაკულტეტის დეკანი**

1. ფაკულტეტის დეკანის დაქვემდებარებაშია:

- პროგრამის ხელმძღვანელი;
- ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- ფაკულტეტის სტრუქტურაში დასაქმებული სპეციალისტი ან/და ფაკულტეტზე არსებული კლინიკის, ლაბორატორიის ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2. ფაკულტეტის დეკანის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დეკანის მოადგილე.

### **მუხლი 7 ანგარიშვალდებულების წესი**

1. ვიცე რექტორები მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, მათ შორის მათ უშუალოდ დაქვემდებარებაში არსებული უნივერსიტეტის სამსახურების/ერთეულების და თანამდებობის პირების მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტურობასა და ხარისხზე.

2. ცალკეული ვიცე რექტორის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები თავისი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან შესაბამისი ვიცე რექტორის წინაშე.

### **მუხლი 8 დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ და მასში ცვლილებები შედის რექტორის ბრძანებით;

2. უნივერსიტეტის სტრუქტურა, ასევე უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა სამუშაოს აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.